საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/102 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

კ. გოცირიძის გორის რაიონული სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის №1/64 განკარგულებით ინიცირებულ იქნა გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში არის მოსამართლის 4 საშტატო ერთეული, ხოლო უფლებამოსილებას ახორციელებს 3 მოსამართლე.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 6 მოსამართლის განაცხადი, მათ შორის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, კობა გოცირიძის განაცხადი. კ. გოცირიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 23-წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ იგი 2019 წლიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. კ. გოცირიძის სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ვლინდება, რომ მას აქვს შესაბამისი უნარი განაგრძოს მუშაობა მაღალი დატვირთვის პირობებში გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, კობა გოცირიძე გათავისუფლდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე